სოციალური მეწარმეობის ცენტრი

საინფორმაციო ჟურნალი 13

www.segeorgia.org

ივნისი, 2015 წელი

სოციალური მეწარმეობა საქართველოში 2

სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად - ფინალი 2

პროექტი "სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში" 3

გ ა ი ც ა ნ ი თ

სოციალური ტაქსი.....5

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები 6

სოციალური საწარმოების საერთაშორისო კონკურსი.....6

საერთაშორისო კონკურსი "წლის სოციალური მეწარმე".....8

სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად - ფინალი

პროექტის - სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2014 - ფარგლებში, დასკვნით უნივერსიტეტთაშორის კონკურსში გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები.

კონკურსის I ნომინაცია ორიენტირებული იყო მოქმედი სოციალური საწარმოებისათვის არსებული პრობლემების გადაჭრაზე და გულისხმობდა გაყიდვების მოცულობის ზრდის შესაძლებლობების ძიებას, მათ დახვეწას და პროგრამულად გაწერას ბიზნეს პროექტების ჩამოყალიბების სახით, შემდგომ კი მათ პრაქტიკულ რეალიზაციას. საპრიზო ადგილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა ჯგუფმა **PR-concept** მოიპოვა.

ჯგუფმა სოციალური საწარმო **Auto-life**-ის მარკეტინგული პრობლემების მოსაგვარებლად შეიმუშავა სხვადასხვა ინოვაციური აქტივობები; მათ შორის ფასდაკლების ბარათი კორპორატიული მომხმარებლებისათვის; წამახალისებელი ღონისძიებები "Happy car" - მანქანების ერთდღიანი ტრანსფორმაცია სახალისო და ჟესტების გამომხატველ ერთეულებად, რამაც გაზარდა საწარმოს ცნობადობა; "გაუზიარე მეგობრებს" – 10%-იანი ფასდაკლების ბარათი ინდივიდუალური მომხმარებლებისა და მათი მეგობრებისათვის, რომელმაც დადებითად განაწყო მომხმარებლები საწარმოს მიმართ, გაზარდა Auto-life-ის მუდმივი მომხმარებლების რაოდენობა; "მხიარული სტიკერები" - უფასო დიაგნოსტიკის შესაძლებლობა ინდივიდუალური მომხმარებლებისათვის, აღნიშნულმა გაზარდა სოციალური საწარმოს რესპექტაბელურობისა და ნდობის დონე საზოგადოებაში;

რაც შეეხება II ნომინაციას, ის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს იდეების შემუშავებას გულისხმობდა. გამარჯვებულ გუნდს, პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე უნდა დაეარსებინა ახალი სოციალური საწარმო, შეემუშავებინა კონცეფცია და ბიზნეს გეგმა. საპრიზო ადგილის

მფლობელი კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური ჯგუფი ედელვაისი ”Edelweiss" გახდა.

ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტი ”აჩუქე ბავშვებს მომავალი” ორიენტირებულია ადრეული ასაკის მქონე ბავშვების კომუნიკაციური შესაძლებლობების, ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე, აუტისტური და სმენადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემების კვალიფიციურ შეფასებაზე, მათ აღმოფხვრასა და პრევენციაზე.

გარდა ამისა, პროექტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტელექტუალურ - სოციალური შესაძლებლობების განვითარებას წიგნიერებისა და კითხვის დონის ამაღლების გზით. პროექტის საბოლოო შედეგია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების რესოციალიზაცია საზოგადოებაში.

პროექტი - სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდსაჭერად - ატარებს ყოველწლიურ ხასიათს, მისი მიზანია სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში. სტუდენტებს, გამარჯვებული გუნდების საქმიანობის კონცეფციის გათვალისწინებით შეუძლიათ ჩაერთონ 2015 წლის კონკურსში და მოიპოვონ წარმატება.

პროექტი ”სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში”

საერთაშორისო ორგანიზაციის ”არბაითერ სამარიტერ ბუნდი” (ASB) და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის ”აფხაზეთი” (CHCA) ერთობლივი პროექტი ”სოციალური საწარმოები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოში” მიზნად ისახავს წლის ბოლომდე შიდა ქართლის რეგიონში 7 ახალი სოციალური საწარმოს დაფუძნების ხელშეწყობას.

პროექტის საწყის ეტაპზე, შიდა ქართლის სხვადასხვა სოფელში ჩატარდა საპრეზენტაციო შეხვედრები, სადაც ორგანიზატორებმა საზოგადოებას გააცნეს პროექტის არსი და მიზანი.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის თანამშრომლებმა, კონკურსში მონაწილეობის მიღებით დაინტერესებული 144 ბენეფიციარისთვის ჩაატარეს ერთ დღიანი ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავდა მონაწილეების ინფორმირებას სოციალური საწარმოების არსის, ფორმებისა და ზოგადად, მისი მნიშვნელობის შესახებ.

პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, 45 მონაწილეს, რომელთა შერჩევაც მოხდა მათ მიერ წარდგენილი იდეის კონცეფციის განაცხადის მიხედვით, მიეცა საშუალება დასწრებოდა ოთხ დღიან ტრენინგს „ბიზნეს გეგმის შემუშავება სოციალური საწარმოებისთვის“. ტრენინგზე განხილული თემები მოიცავდა სოციალურ, ფინანსურ და მარკეტინგულ საკითხებს.

ტრენინგები მონაწილეებისათვის საკმარისი ცოდნისა და გამოცდილების მიცემას ისახავდა მიზნად, რათა მათ პროექტით გათვალისწინებულ ვადებში შესძლებოდათ სრულყოფილი საპროექტო განაცხადების წარდგენა.

პროექტის ფარგლებში ასევე დაიგეგმა ისეთი აქტივობები, როგორებიცაა შეხვედრა ”მრგვალი მაგიდის ფორმატით” გორში, სადაც შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტის (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური) სოციალური სამსახურებისა და მერიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს უკვე განხორციელებულ აქტივობებზე, მათ შორის რეგიონში ჩატარებული კვლევის ანალიზზე. შემდგომ გაიმართა დისკუსია შიდა ქართლში არსებული სხვადასხვა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალებებზე. შეხვედრის მიზანი პოტენციური სოციალური მეწარმეებისათვის ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის მექანიზმების გაცნობა იყო.

პროექტის ფარგლებში გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელიც სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს.

სოციალური ტაქსი

2015 წლის 14 მაისიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საშუალება აქვთ ისარგებლონ შშმ პირებისათვის ადაპტირებული სოციალური ტაქსით. პროექტის იდეა

ეკუთვნის არასამთავრობო ორგანიზაციას "ქალი, ბავშვი და სოციუმი", რომელმაც წარმატება მოიპოვა საქართველოს ბანკის ფონდის "სიცოცხლის ხე" მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, შეიძინა ადაპტირებული მანქანები და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში პირველი სოციალური ტაქსის საქმიანობას.

სოციალური ტაქსის მიზანია ეტლით მოსარგებლე, საყრდენ მამოძრავებელი სისტემის დაზიანების მქონე და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გადაადგილების გამარტივება, მათთვის ადაპტირებული ტაქსის სერვისის შეთავაზება მოქნილი ტარიფებით, კომფორტული მომსახურებითა და პროფესიონალი მძღოლებით.

აღსანიშნავია, რომ პროექტის საწყის ეტაპზე, ორი თვის განმავლობაში სოციალური ტაქსი უფასოდ ემსახურებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, რომელთაც სარეაბილიტაციო კურსების გასავლელად სამედიცინო პუნქტებამდე სჭირდებოდათ ტრანსპორტირება. ასევე, პერიოდულად ხდებოდა მათი გადაყვანა გასართობ ცენტრებსა და სხვა ლოკაციებზე. საწყის ეტაპზე 130-მდე ბავშვის ტრანსპორტირება მოხერხდა.

ამჟამად, სოციალურ ტაქსის 2 ადაპტირებული ავტომობილი გააჩნია. მძღოლები სპეციალურად არიან გადამზადებულები იმისათვის, რომ კომფორტულად მოემსახურონ შშმ პირს და მოახდინონ მისი უსაფრთხო ტრანსპორტირება. ტარიფები მაქსიმალურად მოქნილი და რეალობასთან მიახლოებულია.

სოციალური ტაქსის გამოჩენა იმთავითვე რეზონანსული აღმოჩნდა. საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად შეეგება ამ ფაქტს.

პროექტის საპილოტე ვერსია თბილისში განხორციელდა, თუმცა, წარმატების შემთხვევაში სოციალური ტაქსი აუცილებლად გამოჩნდება საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

სოციალური საწარმოების საერთაშორისო კონკურსი

სოციალური საწარმოების საერთაშორისო კონკურსი ყოველწლიურ ხასიათს ატარებს. მას საფუძველი 1999 წელს ჩაეყარა ჰაასის ბიზნეს სკოლის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრანტი სტუდენტების მიერ. მისი მიზანია სოციალური საწარმოების შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო მასშტაბით. პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად 50 000 დოლარის გრანტი გაიცემა. ღონისძიება 2015 წლის აპრილშიც გაიმართა.

პროექტის მონაწილე გუნდებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ პროფესიონალური რჩევები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ სფეროში არსებულ გამოწვევებს.

კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად, თითოეულ ეტაპზე მეწარმეებმა წარადგენეს თავიანთი ბიზნესის სოციალური, ფინანსური და ეკოლოგიური ღირებულებები. სამივე ეტაპზე, მონაწილე გუნდებს მოეთხოვებოდათ წარსული გამოცდილების გამოყენება საკითხებზე მუშაობისას.

პროექტის დასასრულს გამოვლინდა რამდენიმე გამარჯვებული, მათ შორის:

- პირველი ადგილის მფლობელი გახდა სოციალური საწარმო „Drinkwell". კომპანია გასცემს მცირე ფრანჩიზებს იმ სოფლების მოსახლეობისათვის, სადაც წყალი განსაკუთრებით დაბინძურებულია და საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას. ფრანჩიზი გარდა ბრენდის სახელის გამოყენებისა, გულისხმობს კომპანიის მიერ პოტენციური მეწარმისათვის წყლის ქიმიურად გამწმენდი აპარატებისა და მოწყობილობების გადაცემას. ამის შემდგომ, ადგილობრივი მცხოვრები იწყებს წყლის გაწმენდის, მისი მინერალებით გაჯერებისა და რეალიზაციის პროცესს.

შედეგად საქმდება ადგილობრივი მოსახლეობა და იქმნება უსაფრთხო წყალი, რომელიც სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

სოციალურმა საწარმომ "Drinkwell", 200 მეწარმეს გადასცა ფრანჩიზი, რითაც 200 მილიონ მოსახლეობას მისცა შესაძლებლობა ისარგებლოს სუფთა წყლით. კომპანიამ საპრიზო ადგილის დაკავებისათვის პროექტის ფარგლებში მიიღო $25,000.
http://drinkwellsystems.com/

- მეორე ადგილი მოიპოვა სოციალურმა საწარმომ „Re-materials", რომელიც საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან აწარმოებს სახურავებს დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. სახურავები კარგი თბოიზოლატორებია და გარეთ არსებული ტემპერატურა ვერ ახდენს ძლიერ გავლენას ოთახში არსებულ ტემპერატურაზე. დაზიანების შემთხვევაში ძალიან მარტივია სახურავის შეკეთება. საწარმო ფუნქციონირებს ინდოეთში და უახლოეს მომავალში პროდუქციის ექსპორტზე გატანასაც გეგმავს.

  საპრიზო ადგილის დაკავებისათვის სოციალურმა საწარმომ პროექტის ფარგლებში მიიღო $15,000.
  http://re-materials.com/

- მესამე ადგილის მფლობელი გახდა სოციალური საწარმო „LAKHENI", რომელიც დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობას საშუალებას აძლევს პირველადი მოხმარების პროდუქტი შეიძინოს გადამყიდველების მიერ დამატებული ფასის გარეშე. კერძოდ, სამხრეთ აფრიკაში, ქალაქების მიმდებარედ, ბიდონვილის მსგავს დასახლებებში ცხოვრობს 16 მილიონი ადამიანი. მათ საცხოვრებლებთან ახლოს არ გააჩნიათ ისეთი ტიპის სავაჭრო ობიექტები, სადაც შეძლებენ პირველადი მოხმარების პროდუქტების შეძენას, შესაბამისად ისინი იძულებულები არიან პერიოდულად ქალაქში იყიდონ პროდუქცია. LAKHENI ქმნის მობილურ აპლიკაციას რომლის მიხედვითაც აღნიშნული ფენის მოსახლეობას გადამყიდველებისგან დამოუკიდებლად, მობილური აპლიკაციის მეშვეობით შეუძლიათ შეისყიდონ საქონელი, ხოლო ის ნამატი, რომელიც უნდა გადაეხადათ სავაჭრო ობიექტისათვის, ხმარდება ადგილობრივ დასახლებებში არსებულ ბაგა-ბაღების კვებით უზრუნველყოფას.

საპრიზო ადგილის დაკავებისათვის სოციალურმა საწარმომ მოიპოვა $7,500.

პროექტის ჩატარება 2016 წელსაც იგეგმება. ქართულ სოციალურ საწარმოებს გამარჯვებული გუნდების საქმიანობებისა და ინტერესების გათვალისწინებით შეუძლიათ ჩაერთონ პროექტში და მოიპოვონ წარმატება.

საერთაშორისო კონკურსი "წლის სოციალური მეწარმე"

ყოველწლიურად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა (World Economic Forum) და შვაბის ფონდის (Shwab Foundation) ეგიდით ტარდება საერთაშორისო კონკურსი "წლის სოციალური მეწარმე".

Shwab Foundation მსოფლიოს მასშტაბით უკვე აერთიანებს 320 სოციალურ მეწარმეს, რომლებიც თავიანთ საქმიანობას მსოფლიოს 70 ქვეყანაში ახორციელებენ და ცდილობენ მოაგვარონ საზოგადოების ყველაზე მწვავე პრობლემები.

2015 წლის კონკურსში გამოვლინდა 25 გამარჯვებული ორგანიზაცია და 31 სოციალური მეწარმე, რომლებიც მსოფლიოს 45 ქვეყანაში საქმიანობენ. გამარჯვებულთაგან 8 ორგანიზაცია ამერიკიდანაა, 3 ევროპიდან, 7 აფრიკიდან და 7 აზიიდან. ბენეფიციარების რაოდენობამ 40 მილიონს მიაღწია.

პროექტის - "2015 წლის სოციალური მეწარმე" - მიზანია 2015 წელს, სოციალურ მეწარმეობაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება, სოციალური მეწარმეების სტიმულირება, მათი ფინანსური მხარდაჭერა და გაძლიერება, ასევე ინოვაციური იდეების ხელშეწყობა, რომელთაც პირველყოვლისა სოციალური მიზანი გააჩნიათ.



"ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ცივილიზაცია, სადაც სიღარიბე, შიმშილობა, დაუსაქმებლობა და სხვა მსგავსი პრობლემები აღარ იარსებებს" - აცხადებს მუჰამედ იუნუსი, ნობელის პრემიის ლაურეატი მიკროკრედიტებისა და მიკროფინანსების კონცეფციების დარგში, ასევე Shwab Foundation-ის საბჭოს წევრი. შესაბამისად, 2015 წლის კონკურსში განსაკუთრებული

ყურადღება მიექცა იმ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც მიმართული არიან ისეთი პრობლემების აღმოფხვრაზე, როგორებიცაა: მენტალური შეზღუდვის მქონე პირების რესოციალიზაცია, გარემოს დაბინძურება, არაჯანსაღი კვება, უსახლკარობა, კლიმატის ცვლილებები და ა.შ. "ჩვენ გვაქვს შესაბამისი ტექნოლოგია, უნარი და ინოვაციური შესაძლებლობა იმისათვის, რომ შევქმნათ ისეთი მსოფლიო, სადაც ცხოვრება კომფორტული იქნება, ჩვენ კი ვიამაყებთ ახალი რეალობით" - განაცხადა მუჰამედ იუნუსმა.

თუ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@segeorgia.org

ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"